www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს საზღვაო ნავსადგურები და ტერმინალები

2024 წლის I კვარტალი

20.05.2024
www.geostat.ge

20.05.2024

საზღვაო ნავსადგურებისა და ტერმინალების ძირითადი მაჩვენებლები

(2024 წლის I კვარტალი)

2024 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოვიდა 404[1] გემი, რომელთა 42.3 პროცენტი იყო გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთის გადამზიდი, 28.0 პროცენტი - თხევადი ტვირთმზიდი, 23.3 პროცენტი - კონტეინერმზიდი, ხოლო დანაჩენი 6.4 პროცენტი ნაყარ ტვირთმზიდზე, ბუქსირებზე და სპეციალიზებულ გემებზე განაწილდა.

2024 წლის I კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 28.6 პროცენტით მეტი სპეციალიზებული გემი მიიღო, 9.6 პროცენტით მეტი - გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთმზიდი, 1.8 პროცენტით მეტი - თხევადი ტვირთმზიდი, 1.1 პროცენტით მეტი - კონტეინერმზიდი და 36.0 პროცენტით ნაკლები - ნაყარი ტვირთმზიდი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა ტიპების მიხედვით

(ერთეული)



[1]წყარო: სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო

2024 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში შემოსული გემების 17.8 პროცენტი პანამის დროშის ქვეშ დაცურავდა, 16.6 პროცენტი - თურქეთის, 9.7 პროცენტი - ლიბერიის, 9.2 პროცენტი - რუსეთის, 7.7 პროცენტი - მალტის, დანარჩნი 39.0 პროცენტი კი სხვა ქვეყნებზე განაწილდა.

საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში შემოსული გემების რაოდენობა რეგისტრაციის ქვეყნების (დროშა) მიხედვით,
(ერთეული)



20.05.2024

2024 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურები 1.8 ათას მგზავრს მოემსახურა, რაც 50.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ამასთან, მგზავრთა ნაკადში შემოსული მგზავრების წილი მცირედით აღემატებოდა გასული მგზავრების წილს და 55.6 პროცენტი შეადგინა.

მგზავრთა ნაკადი საქართველოს ნავსადგურებსა და ტერმინალებში[2],
(ათასი კაცი)



[2]მონაცემები განახლებულია სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.

20.05.2024

2024 წლის I კვარტალში საქართველოს ნავსადგურებმა და ტერმინალებმა 3 397.4 ათასი ტონა ტვირთი გადაამუშავა, რაც 8.0 პროცენტით ნაკლებია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე[2]. გადამუშავებული ტვირთის 45.7 პროცენტი გენერალური (ზოგადი სახის) ტვირთი იყო, 31.1 პროცენტი - თხევადი ტვირთი, ხოლო 23.2 პროცენტი - ნაყარი ტვირთი.

საქართველოს ნავსადგურებში და ტერმინალებში გადამუშავებული ტვირთის მოცულობა სახეების მიხედვით,
(ათასი ტონა)



საკონტაქტო პირები:

დავითი ჟორჟოლიანი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (601), E-mail: dzhorzholiani@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: (+995 32) 236 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge

[3]მონაცემები განახლებულია სსიპ საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ.